

# ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორების კვლევა

საქართველოს გენერალური პროკურატურა  
დანაშაულის პრევენციის ცენტრი



დანაშაულის  
პრევენციის  
ცენტრი



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Justice

2019 წელი

# კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებული რისკ და დამცავი ფაქტორების გამოვლენა

- კვლევა ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციისთვის საჭირო მექანიზმების გაძლიერებას, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სარეაბილიტაციო და რესოციალიზაციის პროგრამების განვითარებას.

# კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევა უკავშირდება დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებული შემდეგი ფაქტორების შესწავლას:



პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებულ გამოცდილებასთან დაკავშირებული ფაქტორები;



გათავისუფლების შემდგომ პერიოდში მოქმედი ფაქტორები;



პიროვნული ფაქტორები.

# კვლევის მეთოდოლოგია (ინფორმაციის შეგროვების მეთოდი)



35 სიღრმისეული ინტერვიუ

4 ფოკუს ჯგუფი



## კვლევის მეთოდოლოგია (სამიზნე ჯგუფები)

- ყოფილი მსჯავრდებულები, ვინც განმეორებით ჩაიდინეს დანაშაული;
- ყოფილი მსჯავრდებულები განმეორებითი დანაშაულის გარეშე;
- ყოფილ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები;
- სერვისის მიმწოდებლები:
  - პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე სპეციალისტები (ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, იურისტები და ექიმები);
  - გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტები (დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები);
  - არასამთავრობო სექტორში მომუშავე სპეციალისტები, რომლებიც სერვისს ახორციელებენ პენიტენციურ დაწესებულებაში და მის გარეთ.

# კვლევის მეთოდოლოგია (სამიზნე ჯგუფები)

იპნდენდამეჯიე იპინმან



- ასაკობრივი ჯგუფი: 21 – 45
- პენიტენციურ დაწესებულებაში გატარებული პერიოდი: მინიმუმ 2 წელი
- პენიტენციური დაწესებულების დატოვებიდან გასული პერიოდი: მინიმუმ 1 წელი

## რესპონდენტთა განაწილება შერჩევის კატეგორიების მიხედვით:

	დანაშაულის სახე		
თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გატარებული პერიოდი (ბოლოს წინა დანაშაულის მიხედვით)	ძალადობრივი დანაშაული (მ.108, მ.109, მ.117, მ.126, მ.179)	ქონებრივი დანაშაული (მ.177, მ.178, მ.180, მ.182, მ.187, მ.210)	ნარკოტიკული დანაშაული (მ.260, მ.262, მ.265, მ.273)
ხანმოკლე პერიოდი (2-4 წელი)	3 რესპონდენტი	4 რესპონდენტი	4 რესპონდენტი
ხანგრძლივი პერიოდი (4 წელიზე მეტი)	3 რესპონდენტი	9 რესპონდენტი	2 რესპონდენტი
ერთჯერადი დანაშაული	5 რესპონდენტი	3 რესპონდენტი	2 რესპონდენტი

# მიღებული შედეგები

- ფსიქოლოგიური და სამედიცინო მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებაში და გათავისუფლების შემდგომ;
- ინტერპერსონალური ურთიერთობები პენიტენციურ დაწესებულებაში და გათავისუფლების შემდგომ;
- ინსტიტუტების მხარდაჭერის მნიშვნელობა;
- დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებული ეკონომიკური ფაქტორები.



დანაშაულის ხელმეორედ ჩადენასთან დაკავშირებული  
ფსიქოლოგიური და სამედიცინო ფაქტორები

## ფსიქოლოგიური ფაქტორები- პიროვნული აშლილობები

**პიროვნული აშლილობების - ფსიქოპათია, ანტისოციალური და ნარცისული პიროვნული აშლილობა - შემთხვევაში დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის რისკი მაღალია.**

*„მსჯავრდებულებში არის კატეგორია, რომელსაც როგორც არ უნდა მოექცე და ხელის გულზე ატარო, მაინც ჩაიდენს დანაშაულს. ასეთი პიროვნული მახასიათებელია, არ შეუძლია, რომ არ ჩაიდინოს დანაშაული.“*

*(ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).*

*„ფსიქოპათია არ იკურნება, ... და ასეთი ადამიანი რეციდივის მაღალი რისკით ხასიათდება“  
(ფოკუს ჯგუფი. სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელი)*

## ფსიქოლოგიური ფაქტორები - ემოციური აგრესია

- ✓ მსჯავრდებულთა რეაქტიული აგრესიის კონტროლის სირთულე;
- ✓ ემოციური აგრესია მსჯავრდებულებში წარმოადგენს ქცევის გავრცელებულ და მისაღებ ფორმას, რაც კავშირშია შემთხვევითი, დაუგეგმავი დანაშაულის ჩადენასთან.

*"თუ ღიზიანდება და ისეთი შემთხვევა მოუვიდა, მაგალითად, ჩხუბზე იჯდა და კიდევ ვიღაცამ რაღაც აკადრა, გამოამუღავნებს ის, იგივე დანაშაულს ჩაიდენს, აბა რას იზამს და მე მგონია, ეს არ არის დანაშაული. უბრალოდ იმას ესე ესმის."*

(ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული)

## სხვა ფსიქოლოგიური ფაქტორები

სასჯელადსრულების დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ცვლილებები - დაწესებულებაში არსებული ფსიქოლოგიური წნეხი ამცირებს მსჯავრდებულთა ცვლილების მოტივაციას და ბადებს სამაგიეროს გადახდის სურვილს.

*"რაც უფრო გამწარებული ხარ ადამიანი ბადრავ ზე თუ სხვა ადამიანებზე, მით უფრო ჩადიხარ დანაშაულს, რა თქმა უნდა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია." (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული)*

იზოლირებით გამოწვეული ზოგადი ფსიქოლოგიური ცვლილებები - დეპრესია, შფოთვის და აგრესიის დონის მატება, ძილის დარღვევები, კოგნიტური პროცესების გაუარესება - აღიქმება ბუნებრივ მდგომარეობად.

## ფსიქოლოგიური და სამედიცინო ფაქტორები

- გათავისუფლების შემდგომ პერიოდში ფსიქოლოგიურ სირთულეებთან გამკლავება ალკოჰოლის ან სხვა მავნე ნივთიერებების მოხმარებით ზრდის აგრესიის დონეს და შესაბამისად, დაუგეგმავი, “შემთხვევითი” დანაშაულის ჩადენის რისკს.
- მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილება და მისი გავლენა დანაშაულის ხელმეორედ ჩადენაზე - დაწესებულების გარეთ არსებული დაბალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა ზოგიერთ შემთხვევაში განაპირობებს მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის განმეორებას, რომ მათ მიიღონ ის სამედიცინო მომსახურება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომელიც მათთვის არ არის სხვაგვარად ხელმისაწვდომი.

# დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის პრევენცია - ფსიქოლოგიური და სამედიცინო ფაქტორები

## დანაშაულის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია:

1. პიროვნული აშლილობის სხვადასხვა ფორმის სწორად იდენტიფიცირება - დიაგნოსტიკა, როგორც სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ისე გათავისუფლების შემდგომ სერვისებში. სისტემურ დიაგნოსტიკას ხელს შეუწყობს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების დანერგვა (არსებულის დახვეწა) და თანამშრომელთა გადამზადება შესაბამისი კომპეტენციის შეძენის მიზნით;
2. მსჯავრდებულთა ფსიქოგანათლება პენიტენციური სტრუქტურის მართვის კუთხით;
3. ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო სერვისების გაძლიერება;
4. გათავისუფლების შემდგომი სამედიცინო სერვისის გაძლიერება.

ინტერპერსონალური ურთიერთობების კავშირი  
დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან

# ინტერპერსონალური ურთიერთობები

## რისკ-ფაქტორები:

- კავშირი კრიმინალურ სუბკულტურასთან;
- დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილება;
- დაწესებულებაში არსებული ურთიერთობები სხვა მსჯავრდებულებთან;
- დაწესებულებაში მიღებული ძალადობრივი გამოცდილება.

*„კონტაქტს ვერ წყვეტ - ან ისინი გიკავშირდებიან ან შენ უკავშირდები და ამ მანკიერ წრეში რომ ტრიალებ ადამიანი.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

*„ჩემს შემთხვევაში, ერთხელ რომ მოვხვდი, მეორედ სიცილით შევედი, პირიქით, ვნახე თურმე, რომ კაცს მანდ არ კლავენ და არავინ შემჭამს და არ იყო ჩემთვის საშიში იქ მოხვედრა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული)*



## ინტერპერსონალური ურთიერთობები

- საზოგადოების დამოკიდებულება ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ

*„ყოფილი პატიმრის სტატუსი რატომღაც არასდროს არ ქრება, როგორც არ უნდა ეცადოს პოზიტიური საქციელით დამოკიდებულების შეცვლა, ის ქცევა მაინც ყველას ფსიქიკაში ილექება და ეს არის საკმაოდ ნეგატიური შედეგის მომტანი.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომი სერვისის თანამშრომელი).*

*„მე ყოველთვის კომპლექსი მქონდა და ყოველთვის ვცდილობ, რომ ეს ჩემი წარსული დავმალო და აფიშირება არ მოხდეს. თუ ვატყობ, რომ უცხო საზოგადოებაში ვარ და ამ დროს ვიღაცა მცნობს, ვერიდები ამ შემთხვევაში. ბევრჯერ დავკვირვებივარ, რომ სხვანაირად მიყურებენ ყოველთვის რა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული)*

# ინტერპერსონალური ურთიერთობები

## დამცავი ფაქტორები:

- დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან კომუნიკაცია;

*“ეს იყო ცალსახად დიდი მნიშვნელობის მქონე. დაწესებულებაში მაღალი დამაბულობის მქონე სიტუაციებში გიწევს ძალიან გულგრილი და სარისკო ურთიერთობები და გჭირდება აუცილებლად ვიღაც, ვისაც უყვარხარ და გჯერა, რომ უყვარხარ. ეს გადამწყვეტი ფაქტორია იმისთვის, რომ უბრალოდ იფუნქციონიროს იქ ადამიანმა,” (ყოფილი მსჯარდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული)*

- დაწესებულების დატოვების შემდგომ ძლიერი სოციალური მხარდაჭერის ქსელის არსებობა.



# ეკონომიკური ფაქტორები




# ეკონომიკური ფაქტორები

✓ არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;



✓ ეკონომიკურად პასიური ცხოვრების სტილი, წარუმატებელი შრომითი რეაბილიტაცია;



✓ კანონსაწინააღმდეგო ქცევა (მაგ., ქურდობა), როგორც ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადაჭრის “მარტივი” ალტერნატივა.



## საარსებო წყაროების მოძიების პრაქტიკები

- რესპონდენტების უმრავლესობა მათი ოჯახის წევრების, ნათესავებისა და მეგობრების მხარდაჭერით საქმდება;
- კვლევაში მონაწილე ყოფილ მსჯავრდებულებს შორის მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა დამოუკიდებლად დასაქმების გამოცდილება;
- ყოფილი მსჯავრდებულები დამოუკიდებლად ან სხვების ხელშეწყობით ახერხებენ მცირე ბიზნესის დაწყებას, თვითდასაქმებას;
- საწყის ეტაპზე, ყოფილი მსჯავრდებულები ეკონომიკურ პრობლემებთან გამკლავებას ოჯახის წევრების მხარდაჭერით ახერხებენ.

# ეკონომიკური გაძლიერების ხელის შემშლელი ფაქტორები

საზოგადოებისგან გარიყული

აგრესიული

სტერეოტიპული დამოკიდებულება

ნაციხარი

სტიგმა

ციხეში იჯდა

თვითდასაქმება

კრიმინალი

უნდობლობა

ყოფილი მსჯავრდებული

საარსებო წყარო

მომპარავი

მარგინალიზებული

დასაქმება

დამსაქმებელი

ეკონომიკური გაძლიერება

ნასამართლობის სტატუსი

ჩხუბისთავი

# ეკონომიკური გაძლიერების ხელის შემშლელი ფაქტორები



შეზღუდული  
(ჩამორთმეული)  
უფლებები



შესასრულებელი  
ვალდებულებები

# ეკონომიკური გაძლიერების ხელის შემშლელი ფაქტორები

ეკონომიკური გაძლიერების შემაფერხებელ ფაქტორებს შორის ფიგურირებს არასაკმარისი კომპეტენცია (ზოგჯერ შეცვლილი რეალობიდან გამომდინარე), რაც ხელს უშლის ყოფილ მსჯავრდებულს მისთვის სასურველ სამუშაო ადგილზე დასაქმებაში



# რელევანტური კვლევების მიმოხილვა

- დამსაქმებლები ყოფილი მსჯავრდებულების მიმართ გამოხატავენ უნდობლობას და ცდილობენ, რომ მათთან არ დაამყარონ საქმიანი ურთიერთობა;
- ყოფილი მსჯავრდებულების პროფესიული უნარები არ შეესაბამება დამსაქმებლების მოთხოვნებს (მათ არ გააჩნიათ საკმარისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია).

*დასაქმების ბაზრისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პროფესიული შესაძლებლობები და საჭიროებები (სიდა, გამოყენებითი კვლევების კომპანია)*

# რელევანტური კვლევების მიმოხილვა

- საზოგადოებაში არსებული სტიგმა;
- ნასამართლეობის ნასამართლობის სტატუსი;
- სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობის არქონა;

*კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი ((ASB) საქართველოში , ნინო ღონღაძე, ნატალია ბარათაშვილი)*

# ინსტიტუციური მხარდაჭერა

## ინსტიტუციური მხარდაჭერა

ინსტიტუციური მხარდაჭერის ჰოლისტური მიდგომა - რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ინსტიტუტების შეთანხმებული მოქმედება

- ❖ პენიტენციური დაწესებულები;
- ❖ პრობაციის ეროვნული სააგენტო;
- ❖ დანაშაულის პრევენციის ცენტრი;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

# ინსტიტუციური მხარდაჭერა

- ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ დასახელებული სასურველი სერვისები, რომლებიც მათთვის არ იყო ხელმისაწვდომი პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას;
- მომსახურებები, რომლის სარგებლობის გამოცდილებაც აქვთ ყოფილ მსჯავრდებულებს და თვლიან, რომ მათ პოზიტიური გავლენა აქვთ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესზე.

# ინსტიტუციური მხარდაჭერა

*„გარე სამყაროსთან“ კომუნიკაციის საშუალებების განვითარება (პენიტენციური დაწესებულება);*

- ოჯახის წევრებთან გრძელვადიანი და მოკლევადიანი შეხვედრების შესაძლებლობა პენიტენციურ დაწესებულებაში;
- მეგობრებთან შეხვედრების შესაძლებლობა პენიტენციურ დაწესებულებაში;
- წერილების საშუალებით კომუნიკაციის შესაძლებლობა;
- ხელმისაწვდომი სატელეფონო კომუნიკაცია;
- მრავალფეროვანი სატელევიზიო გადაცემების ნახვის შესაძლებლობა;
- კომპიუტერით სარგებლობის შესაძლებლობა;
- დღესასწაულებზე ოჯახში ვიზიტის შესაძლებლობა.

# ინსტიტუციური მხარდაჭერა

*„გარე სამყაროსთან“ კომუნიკაციის საშუალებების განვითარება (პენიტენციური დაწესებულება);*

*“ჩემთვის ურთიერთობები და დამოკიდებულებები არ შეცვლილა ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. ერთადერთი, უკეთესი იქნებოდა, თუ პაემნები უფრო ხშირად იქნებოდა და მეგობრებსაც თუ შევხვდებოდი იქ ყოფნის პერიოდში.” (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).*

*“ვერც ვერკვეოდი, რომ ციხეში ვიყავი, იმიტომ, რომ ტელეფონები იყო, როცა მინდოდა სახლში დავრეკავდი, ხაჭაპური მომიტანეთ, ის მომიტანეთ, ეს მომიტანეთ, ზოგს კომპიუტერებიც ჰქონდა ხელში..” (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული)*

# ინსტიტუციური მხარდაჭერა

- ❖ „გარე სამყაროსთან“ კომუნიკაციის საშუალებების განვითარება (პენიტენციური დაწესებულება);
- ❖ სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურება (პენიტენციური დაწესებულება);
- ❖ განათლების მიღების შესაძლებლობა და დასაქმების ხელშეწყობა პენიტენციურ დაწესებულებაში;
- ❖ სპორტული აქტივობები და ჰიგიენური ნორმების დაცვა (პენიტენციური დაწესებულება);



## ინსტიტუციური მხარდაჭერა

- დაწესებულების დატოვების შემდეგ, საწყის ეტაპზე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურებების უზრუნველყოფა (კვება, საჯარო ტრანსპორტით გადაადგილება, საცხოვრებელი);
- ფსიქოლოგის, ფსიქიატრისა და სამედიცინო მომსახურება (დაწესებულების დატოვების შემდგომი პერიოდი);
- დასაქმების ხელშეწყობა და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა (დაწესებულების დატოვების შემდგომი პერიოდი);
- სოციალური მომსახურება და იურისტის კონსულტაცია.

## ინფორმაციის გავრცელება ინსტიტუციური მხარდაჭერის შესახებ

- ბენეფიციარებსა და რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ძირითად აქტორებს შორის ნდობის ჩამოყალიბება;
- ინსტიტუციური მხარდაჭერის შესახებ ბენეფიციარების ინფორმირებულობის ხარისხის მნიშვნელობა.

*„მსჯავრდებულებს, რომლებიც იმყოფებიან დაწესებულებაში, გარკვეულწილად თვითონ იმაზე მეტი მოლოდინები აქვთ შექმნილი გამოსვლის შემდეგ რას გააკეთებენ, ვიდრე რეალობა არსებობს. როცა გამოდიან და მათი შექმნილი მოლოდინები არ მართლდება ისე, როგორც მათ წარმოედგინათ, გაცილებით მაღლდება ეს უნდობლობა და ბარიერები კიდევ უფრო მეტად იზრდება“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).*

*„ხშირად ხდება ისე, რომ თანამესაკნე აწვდის ინფორმაციას, მაგალითად, დაავადებებთან დაკავშირებით და აბსურდული ინფორმაცია აქვთ, მაგალითად, C ჰეპატიტის გადადებასთან დაკავშირებით, რადგან არიან ერთმანეთის იმედად, თუ ვინმე რამე ინიფორმაციას გაუზიარებს. არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).*

გმადლობთ ყურადღებისათვის!